ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

კვლევა მომზადებულია პროექტის - *სადამკვირვებლო ჯგუფების გაძლიერება მთავრობის ანგარიშვალდებულებისთვის* - ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის მიერ, ვიშეგრადის გრანტების პროგრამით, ჩეხეთის, უნგრეთის, პოლონეთისა და სლოვაკეთის მთავრობების თანადაფინანსებით. ფონდის მისიაა ცენტრალურ ევროპაში მდგრადი რეგიონული იდეების წახალისება.

კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ გამოხატავდეს ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის პოზიციას.

Visegrad Fund

თბილისი

2019

ძირითადი მიგნებები

კვლევის პროცესში, ფარულ საგამოძიებო მოქმედებებსა და კონტრდაზვერვით საქმიანობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის, მედიაში გაჟღერებული ფაქტების, პროაქტიულად გამოქვეყნებული და სხვადასხვა უწყებებიდან გამოთხოვილი მონაცემების ანალიზმა შემდეგი ძირითადი მიგნებები გამოავლინა:

- ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ 2017 წელს საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს, რომლითაც ახლებულად მოწესრიგდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების ტექნიკური ინფრასტრუქტურის ორგანიზება, არ მოჰყოლია იმ პრობლემების მოგვარება, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციები უკვე მრავალი წელია კამპანია „ეს შენ გეხება“-ს ფარგლებში აპროტესტებენ.
- ყოველწლიურად უფრო და უფრო იზრდება პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების რეგლამენტირებული ხელყოფა, რაც კონსტიტუციით დაცულ უფლებაში არამართლზომიერი და არაპროპორციული ჩარევის საფრთხეს ქმნის. აღნიშნულს ადასტურებს მაკონტროლებელი ორგანოს - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედებების შეჩერების ფაქტები, რაც გამოწვეულია ინსპექტორისთვის ელექტრონული ან/და მატერიალური სახით მოსამართლის განჩინების/პროკურორის დადგენილების წარუდგენლობის ან/და წარდგენილ დოკუმენტებში მონაცემების ბუნდოვანება-უზუსტობით.
- ფარული საგამოძიებო მოქმედებების 2015-2018 წლების რეესტრის მონაცემებით ირკვევა, რომ სასამართლოებში შესული შუამდგომლობების რაოდენობა ფარულ საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარებაზე ყოველწლიურად იზრდება. 2018 წელს კი 2016 წელთან შედარებით გაორმაგებულია სასამართლოში შესული შუამდგომლობების რიცხვი. გაიზარდა ასევე დაკმაყოფილების წილი 86%-დან 96%-მდე.
- მსგავსი ტენდენციაა სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერასთან დაკავშრებითაც. კერძოდ, 2018 წელს წინა წელთან შედარებით თითქმის ორჯერ გაიზარდა სასამართლოებში განხილული და დაკმაყოფილებული შუამდგომლობების რიცხვი.
- ბოლო ხუთი წლის მანძილზე სასამართლოებს სატელეფონო მოსმების ყველაზე ბევრი მოთხოვნით სწორედ 2018 წელს მიმართეს (ჯამში 1,059 შემთხვევა). ასევე, ამ წელს პირველი ინსტანციის სასამართლოებში წარდგენილი სატელეფონო მიყურადების შუამდგომლობები აღემატება წინა ორი წლის მანძილზე წარდგენილი შუამდგომლებების ჯამურ მაჩვენებელს, რაც თითქმის გაუტოლდა 2014 წლის შედეგებს.
- გაზრდილია ასევე სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შუამდგომლობების დაკმაყოფილების წილი. თუ ეს მაჩვენებელი 2014-2016 წლებში 82-86%-ს შორის მერყეობდა, ბოლო ორი წლის მანძილზე მოთხოვნათა დაკმაყოფილების ხარისხმა მოიმატა და 93-94% შეადგინა.
- საგულისხმოა, რომ 2018 წელს წინა წელთან შედარებით, 17-ჯერ გაიზარდა ქურდული სამყაროს წევრობის, კანონიერი ქურდობის დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების განხილული შუამდგომლობების რიცხვი.

- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს დატვირთულობას, ძირითადად ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება განაპირობებს, რომელიც რამდენჯერმე აღემატება იმ ქმედებებთან დაკავშირებული ღონისძიებების რაოდენობას, რომელიც კავშირშია სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა სადაზვერვო ან/და ტერორისტული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოპოვებასა და დამუშავებასთან.
- მედიაში გახმაურებული მოვლენები ცხადყოფს, რომ ბოლო პერიოდში გახშირებულია პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების უკანონო გამოქვეყნება. საზოგადოებას კი დღემდე არ მიწოდებია ინფორმაცია იმ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, ვინც პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერები უკანონოდ დაამზადა ან/და ინტერნეტ სივრცეში ატვირთა და ამგვარად ხელმისაწვდომი გახადა საზოგადოებისთვის.

ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეგულირება და სტატისტიკა

ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეგულირება

საქართველოში ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება დაცულია ქვეყნის ძირითადი კანონით. ადამიანის პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია. არავის აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ან სხვა მფლობელობაში მფლობელი პირის ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე, ჩაატაროს ჩხრეკა. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.[1]

საქართველოს კონსტიტუციით დაცულ აღნიშნულ უფლებაში ჩარევის შესაძლებლობა, შემდგომში რეალიზებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსა და სხვა კანონებში. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გაწერილია **ფარული საგამოძიებო მოქმედების** სახეები, მათი ჩატარების პრინციპები და წესი, რომლებიც აგრეთვე მოიცავს განმახორციელებელ უფლებამოსილ ორგანოებსა და მოპოვებული ინფორმაციის/მასალის შენახვის და მისი განადგურების წესს.[2]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და აუცილებელია ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უწესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.[3] ფარული საგამოძიებო მოქმედებები ტარდება მხოლოდ

---

1 საქართველოს კონსტიტუცია მე-15 მუხლი.
2 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თავი XVI[1]
3 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143[2]-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

განზრახ მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ან სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული კონკრეტული მუხლებით[4] გათვალისწინებული დანაშაულების გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნისას.

ფარული საგამოძიებო მოქმედების სახეებია:

ა) სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა;
ბ) ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურე აპარატურასთან მიერთებით), კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია;
გ) გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრა;[5]
დ) საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის (დიპლომატიური ფოსტის გარდა) კონტროლი;
ე) ფარული ვიდეოჩაწერა ან/და აუდიოჩაწერა, ფოტოგადაღება;
ვ) ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს.

ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების საფუძველია **მოსამართლის განჩინება** ან **პროკურორის მოტივირებული დადგენილება**.[6]

მოსამართლის განჩინება ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ დგება 4 ეგზემპლარად და გადაეცემათ პროცესში ჩართულ ორგანოებს. იგივე ვრცელდება გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში მიღებულ პროკურორის დადგენილებასა და მოგვიანებით მიღებულ ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად/უკანონოდ ცნობის შესახებ მოსამართლის განჩინებაზე.[7] პროცესში ჩართულ ორგანოებს წარმოადგენენ:

ა) სასამართლო;
ბ) შუამდგომლობის წარმდგენი პროკურორი[8]
გ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი და
დ) ფარული საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელი ორგანო.[9]

---

[4] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილი, 134-ე მუხლი, 139-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 140-ე და 141-ე მუხლები, 143-ე მუხლის პირველი ნაწილი, 143 3 მუხლის პირველი ნაწილი, 180-ე მუხლის პირველი ნაწილი, 181-ე მუხლის პირველი ნაწილი, 186-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 198-ე მუხლის პირველი ნაწილი, 210-ე მუხლის პირველი ნაწილი, 253-ე მუხლის პირველი ნაწილი, 254-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 255 1, 259 4 და 284-ე მუხლები, 285-ე მუხლის პირველი ნაწილი, 286-ე და 287-ე მუხლები, 288-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 289-ე, 290-ე და 292-ე—303-ე მუხლები, 304-ე მუხლის პირველი ნაწილი, 305-ე, 306-ე და 306 1 მუხლები, 318-ე მუხლის პირველი ნაწილი, 322 1 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 340-ე და 341-ე მუხლები.
[5] ამოქმედდება 2020 წლის 30 მარტიდან.
[6] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143^3-ე მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტები.
[7] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143^3-ე მუხლის მე-5 და მე-7 მუხლები.
[8] მოსამართლის განჩინება გადაეცემა შუამდგომლობის წარმდგენ პროკურორს ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენელს.
[9] ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების პროცესში ჩართულ ორგანოებზე ინფორმაცია იხილეთ IV თავში.

ფარული საგამოძიებო მოქმედებების ოფიციალური სტატისტიკა

ფარული მიყურადების შესახებ სტატისტიკური მონაცემების პროაქტიული გამოქვეყნება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამართალდამცავ ორგანოებსა და სასამართლო სისტემაზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებაში. აგრეთვე, ამ სფეროში არსებული სახელმწიფო პოლიტიკის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებაში. საქართველოს კანონმდებლობით, **ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის** შედგენა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ევალება. რეესტრში აისახება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები. კერძოდ, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებით სასამართლოებში შესული შუამდგომლობების და სასამართლოთა მიერ მათზე მიღებული განჩინებების შესახებ ინფორმაცია.[10]

ა) სატელეფონო საუბრის მიყურადების მონაცემები 2017-2018 წლებში

საქართველოს უზენაესი სასამართლო პერიოდულად აქვეყნებს სტატისტიკას სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერაზე.[11] ბოლოს გამოქვეყნებულია 2018 წლის მონაცემები. სტატისტიკის მიხედვით, **2018 წელს წინა წელთან შედარებით თითქმის ორჯერ გაიზარდა სასამართლოებში განხილული (548 განხილული შუამდგომლობიდან 1,059-მდე) და დაკმაყოფილებული (515-დან 981-მდე) შუამდგომლობების რიცხვი.** ბოლო ხუთი წლის მანძილზე სასამართლოებს სატელეფონო მოსმების ყველაზე ბევრი მოთხოვნით სწორედ 2018 წელს მიმართეს. ასევე, ამ წელს პირველი ინსტანციის სასამართლოებში წარდგენილი სატელეფონო მიყურადების შუამდგომლობები აღემატება წინა ორი წლის მანძილზე წარდგენილი შუამდგომლებების ჯამურ მაჩვენებელს, რაც თითქმის გაუტოლდა 2014 წლის შედეგებს. გაზრდილია ასევე შუამდგომლობების დაკმაყოფილების წილი, თუ ეს მაჩვენებელი 2014-2016 წლებში 82-86%-ს შორის მერყეობდა, **ბოლო ორი წლის მანძილზე მოთხოვნათა დაკმაყოფილების ხარისხმა მოიმატა და 93-94% შეადგინა.**

პირველი ინსტანციის სასამართლოებში წარდგენილი სატელეფონო მიყურადების შუამდგომლობები (უზენაესი სასამართლოს მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული მონაცემები)

წელი	მიღებული	დაკმაყოფილდა	ნაწილობრივ დაკმაყოფილდა	წილი
2014	1,074	894	-	83.24%
2015	373	261	45	82%
2016	401	315	30	86%
2017	548	499	16	94%
2018	1,059	927	54	93%

[10] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143[10]-ე მუხლი.

[11] უზენაესი სასამართლოს მიერ სატელეფონო საუბრის მიყურადების მონაცემების გამოქვეყნება დაკავშირებულია „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) ინიციატივასთან. კერძოდ, ამ მონაცემების პროაქტიული გამოქვეყნების ვალდებულება თავდაპირველად IDFI-ისა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ OGP-ის 2014-2015 წწ. სამოქმედო გეგმის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაცია იყო. ამ ვალდებულების შესრულებით, საქართველო მოხვდა მსოფლიოს მასშტაბით იმ მცირერიცხოვან ქვეყნებს შორის, სადაც ეს მონაცემები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი.

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) 2016-2017 წწ. სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველომ აიღო ვალდებულება გამოაქვეყნოს მონაცემები დანაშაულის კვალიფიკაციისა და გეოგრაფიული არეალის მიხედვით.[12] აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით, უზენაესი სასამართლო 2016 წლიდან აქვეყნებს სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერის სტატისტიკას, რომელიც ჩაშლილია სასამართლოებისა და დანაშაულის კვალიფიკაციის მიხედვით.

ბოლო სამი წლის მიხედვით, ყველაზე მეტი შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა. დანარჩენი შუამდგომლობა ნაწილდება 22 საქალაქო/რაიონულ სასამართლოზე, საიდანაც შედარებით გამოირჩევა ქუთაისი, რუსთავი და ბათუმი.[13]

	2016	2017	2018	ჯამი
თბილისი	299	387	658	**1344**
ქუთაისი	19	48	92	**159**
რუსთავი	13	13	65	**91**
ბათუმი	22	23	28	**73**
გორი	9	20	24	**53**
ახალციხე	6	3	33	**42**
თელავი	4	17	19	**40**
ბოლნისი	5	6	26	**37**
მცხეთა	2	8	21	**31**
თეთრიწყარო	6	1	7	**14**
ოზურგეთი	1	1	11	**13**
გურჯაანი	2	2	8	**12**
ზუგდიდი	6	5	0	**11**
სენაკი	4	2	5	**11**
ხაშური	0	2	4	**6**
სიღნაღი	0	1	5	**6**
ზესტაფონი	1	3	1	**5**
ხელვაჩაური	2	0	3	**5**
საჩხერე	0	4	0	**4**
სამტრედია	0	2	1	**3**
ფოთი	0	0	2	**2**
ახალქალაქი	0	0	2	**2**
წალენჯიხა	0	0	2	**2**

მონაცემების მიხედვით, 2016-2018 წლების პერიოდში განხილული შუამდგომლობების თითქმის ნახევარი (1966-დან 980) მოდის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ექვს მუხლზე - თაღლითობა (253 შუამდგომლობა, სსკ მუხლი 180), გამოძალვა

[12] ვალდებულება 13: სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების მონაცემების გამოქვეყნება დანაშაულის კვალიფიკაციისა და გეოგრაფიული არეალის მიხედვით, გვ. 23, http://bit.ly/2knGmxw
[13] მონაცემები გამოქვეყნებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე: http://www.supremecourt.ge/farulebi

(210 შუამდგომლობა, სსკ მუხლი 181), ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა (207 შუამდგომლობა, სსკ მუხლი 223[1]), ქრთამის აღება (198 შუამდგომლობა, სსკ მუხლი 338), ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება (112 შუამდგომლობა, სსკ მუხლი 260) და ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენება (97 შუამდგომლობა, სსკ მუხლი 210).[14] **საგულისხმოა, რომ 2018 წელს წინა წელთან შედარებით, 17-ჯერ გაიზარდა ქურდული სამყაროს წევრობის, კანონიერი ქურდობის დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით განხილული შუამდგომლობების რიცხვი. თუ 2016-2017 წლებში საერთო ჯამში ამ დანაშაულზე 23 შუამდგომლობა დაფიქსირდა, 2018 წელს ყველაზე მეტჯერ სწორედ ამ დანაშაულის მიზეზით ითხოვდნენ სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერას (სულ 184 შუამდგომლობა).**

სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი	2016	2017	2018	ჯამი
მუხლი 180. თაღლითობა	70	89	94	**253**
მუხლი 181. გამოძალვა	58	69	83	**210**
მუხლი 223[1]. ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა	12	11	184	**207**
მუხლი 338. ქრთამის აღება	57	65	76	**198**
მუხლი 260. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება	11	15	86	**112**
მუხლი 210. ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენება	14	32	51	**97**
მუხლი 108. განზრახ მკვლელობა	14	19	58	**91**
მუხლი 182. მითვისება ან გაფლანგვა	18	22	44	**84**
მუხლი 179. ყაჩაღობა	12	27	44	**83**
მუხლი 177. ქურდობა	11	19	47	**77**
მუხლი 212. ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება	9	21	11	**41**
მუხლი 194. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება)	14	11	13	**38**
მუხლი 109. განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში	6	6	22	**34**
მუხლი 117. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება	3	8	20	**31**
მუხლი 187. ნივთის დაზიანება ან განადგურება	4	12	14	**30**

[14] მონაცემები გამოქვეყნებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე: http://www.supremecourt.ge/farulebi

მუხლი 143. თავისუფლების უკანონო აღკვეთა	3	6	15	**24**
მუხლი 372. ზემოქმედების განხორციელება გამოსაკითხ პირზე, მოწმეზე, დაზარალებულზე, ექსპერტზე ან თარჯიმანზე	3	6	14	**23**
მუხლი 221. კომერციული მოსყიდვა	6	4	11	**21**
მუხლი 218. გადასახადისათვის თავის არიდება	5	10	4	**19**
მუხლი 200. მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა	3	8	8	**19**
მუხლი 339. ქრთამის მიცემა	5	3	10	**18**
მუხლი 262. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების საქართველოში უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა	9	2	4	**15**
მუხლი 214. საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევა	3	8	3	**14**
მუხლი 143[1]. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)	4	8	1	**13**
მუხლი 178. ძარცვა	2	1	7	**10**
მუხლი 205[1]. ქონების გადამალვა მოჩვენებითი ან/და თვალთმაქცური გარიგებით	5	3	1	**9**
მუხლი 144. მძევლად ხელში ჩაგდება	5		4	**9**
მუხლი 185. ქონებრივი დაზიანება მოტყუებით	3	3	0	**6**
მუხლი 200[1]. ყალბი აქციზური მარკების დამზადება, გასაღება ან/და გამოყენება	3	2	1	**6**
მუხლი 328. უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში ან უცხოეთის კონტროლისადმი დაქვემდებარებულ ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანება ან ტერორისტულ საქმიანობაში მისი დახმარება	2	3	1	**6**
მუხლი 318. საბოტაჟი	3		0	**3**
მუხლი 223. უკანონო ფორმირების შექმნა, ხელმძღვანელობა, ასეთ ფორმირებაში გაწევრება, მონაწილეობა ან/და უკანონო ფორმირების სასარგებლოდ სხვა საქმიანობის განხორციელება	3	0		**3**
მუხლი 315. შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად	3	0	0	**3**
სხვა	18	55	86	**159**
ჯამი	**401**	**548**	**1,017**	**1,966**

ბ) ფარული საგამოძიებო მოქმედებების სტატისტიკა 2015-2018

კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, 2014 წლის 1 აგვისტოდან უზენაესმა სასამართლომ ასევე დაიწყო ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის პროაქტიულად გამოქვეყნება, სადაც გაერთიანებულია, როგორც სატელეფონო მიყურადებაზე, ისე სხვა ფარული მოქმედებების შესახებ დაკმაყოფილებული შუამდგომლობები. დღეის მდგომარეობით, ხელმისაწვდომია 2014 წლის 4 თვის (18 აგვისტო - 31 დეკემბერი)[15] და 2015-2018 წლების მონაცემები.

ფარული საგამოძიებო მოქმედებების 2015-2018 წლების რეესტრის მონაცემებით ირკვევა, რომ **სასამართლოებში შესული შუამდგომლობების რაოდენობა ფარულ საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარებაზე ყოველწლიურად იზრდება. 2018 წელს კი 2016 წელთან შედარებით გაორმაგებულია სასამრთლოში შესული შუამდგომლობების რიცხვი. გაიზარდა ასევე დაკმაყოფილების წილი 86%-დან 96%-მდე.**



ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის საშუალებით შესაძლებელი ხდება იმის გაგება, თუ ფარული მოქმედებების რა წილს შეადგენს ყოველწლიურად სატელეფონო მიყურადება. როგორც ირკვევა, **2018 წელს სატელეფონო მიყურადებასთან დაკავშირებით განხილული შუამდგომლობები მთლიანი ფარული მოქმედებების მხოლოდ 11% იყო.** რეგიონების მიხედვით პროცენტულად ლიდერობს ბოლნისი (20,3%), სიღნაღი (16,7%) და თეთრიწყარო (16,3%). თბილისში 2018 წელს სატელეფონო მიყურადების წილი ფარულ საგამოძიებო მოქმედებებში 12%-ს შეადგენდა.

[15] ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის მონაცემები საქართველოს I ინსტანციის სასამართლოების მიხედვით 2014 წლის 18 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით. საქართველოს უზენაესი სასამართლო, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/2kWp5eY

შედარებით განსხვავებული იყო 2017 წლის მონაცემები. კერძოდ, ამ წელს სატელეფონო მიყურადების ჯამური წილი ფარულ საგამოძიებო მოქმედებებში 8,9%-ს შეადგენდა. ქალაქებს შორის პროცენტული წილით ლიდერობდნენ საჩხერე (16%), ხაშური (15,4%) და ქუთაისი (15,1%). თბილისის პროცენტული წილი კი 9,7% იყო.

2018 წლის ფარული საგამოძიებო მოქმედებები და სატელეფონო მიყურადება						
	2017 სულ განხილული შუამდგომლობები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით	2017 მათ შორის შუამდგომლობები სატელეფონო მიყურადებასთან დაკავშირებით	2017 სატელეფონო მიყურადების წილი ფარულ საგამოძიებო მოქმედებებში	2018 სულ განხილული შუამდგომლობები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით	2018 მათ შორის შუამდგომლობები სატელეფონო მიყურადებასთან დაკავშირებით	2018 სატელეფონო მიყურადების წილი ფარულ საგამოძიებო მოქმედებებში
თბილისი	3,995	387	9.7%	5,670	658	11.6%
ბათუმი	279	23	8.2%	575	28	4.9%
ქუთაისი	318	48	15.1%	563	92	16.3%
რუსთავი	211	13	6.2%	490	65	13.3%
ზუგდიდი	287	5	1.7%	482	41	8.5%
გორი	192	20	10.4%	358	24	6.7%
თელავი	141	17	12.1%	185	19	10.3%
ბოლნისი	84	6	7.1%	128	26	20.3%
ახალციხე	80	3	3.8%	210	33	15.7%
ოზურგეთი	78	1	1.3%	114	11	9.6%
მცხეთა	102	8	7.8%	204	21	10.3%
ფოთი	77	0	0.0%	57	2	3.5%
სამტრედია	42	2	4.8%	40	1	2.5%
სენაკი	69	2	2.9%	74	5	6.8%
ზესტაფონი	50	3	6.0%	46	1	2.2%
ხელვაჩაური	19	0	0.0%	77	3	3.9%
ხაშური	13	2	15.4%	78	4	5.1%
თეთრიწყარო	25	1	4.0%	43	7	16.3%
საჩხერე	25	4	16.0%	27	0	0.0%
გურჯაანი	20	2	10.0%	59	8	13.6%
სიღნაღი	48	1	2.1%	36	6	16.7%
ამბროლაური	0	0	0%	4	0	0.0%
წალენჯიხა	0	0	0%	37	2	5.4%
ჩხოროწყუ	0	0	0%	1	0	0.0%
მესტია	0	0	0%	7	0	0.0%
ახალქალაქი	2	0	0%	41	0	0.0%
ჯამი	**6,157**	**548**	**8.9%**	**9606**	**1055**	11.0%

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის ანალიზის გარდა, კვლევის ფარგლებში IDFI-იმ საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოდან, საქართველოს გენერალური პროკურატურიდან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოდან. ყველა ზემოაღნიშნულმა უწყებამ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში IDFI-ს მეტ-ნაკლებად მიაწოდა მოთხოვნილი ინფორმაცია,[16] გარდა საქართველოს გენერალური პროკურატურისა, რომელმაც საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის აღრიცხვას არ აწარმოებდნენ.[17] აღნიშნული უარი IDFI-მ ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრა. რომელიც 2019 წლის 7 მაისს ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.[18] საქართველოს გენერალური პროკურატურა მოთხოვნილი 8 ინფორმაციიდან,[19] მხოლოდ 2 კატეგორიის ინფორმაციის გაცემას დათანხმდა.[20] სხვა ინფორმაციის გაცემაზე კი იმავე მოტივით (რომ ინფორმაციის აღრიცხვას არ აწარმოებენ) გენერალური პროკურორის მოადგილის მხრიდან კვლავ უარი მივიღეთ.

ხსენებული ორი კატეგორიის მონაცემი, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ 2019 წლის 12 ივლისის წერილით მოგვაწოდა, რომლის თანახმად, 2017 წლის პირველი სექტემბრიდან 2019 წლის 4 მარტამდე, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მოთხოვნით სასამართლოს 12 656 შემთხვევაში, გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერად ცნობის შესახებ კი 302

---

16 თბილისის საქალაქო სასამართლოს ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისთვის მიწერილი 2019 წლის 15 მარტის წერილი N895-19; საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს უფროსის ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისთვის მიწერილი 2019 წლის 14 მარტის წერილი NSSG9 19 00048370; პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისადმი მიწერილი 2019 წლის 19 მარტის წერილი NPDP2 19 00001049.

17 საქართველოს გენერალური პროკურატურის ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისათვის 2019 წლის 6 მარტს მიწერილი წერილი N13/16507.

18 საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება IDFI-ს საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ

19 მოთხოვნილი ინფორმაცია ეხებოდა 2017 წლის სექტემბრიდან 2019 წლის 4 მარტამდე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების რაოდენობას; ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურატურის მიერ სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობების რაოდენობას; ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე პროკურორის მიერ სასამართლოში წარდგენილ შუამდგომლობებზე სასამართლოს განჩინებების რაოდენობას ფარულ საგამოძიებო მოქმედებაზე უარის თქმის შესახებ; გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში პროკურორის დადგენილებით ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების მოსამართლის მიერ კანონიერად ცნობის განჩინებების რაოდენობას იმ დანაშაულის მითითებით, რომელზეც დაწყებული იყო გამოძიება ან/და მიმდინარეობდა სისხლისსამართლებრივი დევნა; მოსამართლის განჩინებების რაოდენობას ჩატარებული/მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობის, მისი შეწყვეტის, შედეგების გაუქმების და მის შედეგად მოპოვებული მასალის/ინფორმაციის განადგურების შესახებ; იმ პირთა რაოდენობას, რომელზეც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143³ მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად განადგურდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია; იმ ფარული საგამოძიებო მოქმედებების რაოდენობას, რომელთა შეწყვეტის ან დასრულების შედეგად განადგურდა ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია და იმ პირთა რაოდენობას, რომელთაც ეცნობათ, რომ მათ მიმართ ჩატარდა ფარული საგამოძიებო მოქმედები.

20 მოთხოვნილ პერიოდში ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების თაობაზე შუამდგომლობების რაოდენობა და იმ პირთა რაოდენობა, რომელთაც ეცნობათ მათ მიმართ ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ.

შემთხვევაში მიმართეს. ხოლო 4 726 პირს ეცნობა მათ მიმართ ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ.[21]

თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის 1-ლი სექტემბრიდან 2019 წლის 28 თებერვლის ჩათვლით,[22] თბილისის საქალაქო სასამართლომ პროკურატურის მიერ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შესახებ შუამდგომლობების 93% დააკმაყოფილა, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული სატელეფონო საუბრის მიყურადება და ჩაწერიდან 88% ცნო კანონიერად.



სულ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ შუამდგომლობების შემდეგი რაოდენობა განიხილა:[23]

ფარული საგამოძიებო მოქმედებები	**განხილული შუამდგომლობების რაოდენობა**	**დაკმაყოფილებული შუამდგომლობების რაოდენობა**	**დაკანონების შესახებ შუამდგომლობების რაოდენობა**	**დაკმაყოფილებული შუამდგომლობების რაოდენობა**
სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა	859	797	33	29
ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურე აპარატურასთან მიერთებით)	24	24	2	2

21 საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 12 ივლისის N13/51086 წერილი. (დამატება ჩამატებულია 2019 წლის 19 ივლისს).
22 2017 წლის აგვისტოს ჩათვლით მონაცემები შეგიძლიათ იხილოთ IDFI კვლევაში: ფარული მიყურადების რეგულირება საქართველოში (იანვარი-აგვისტო, 2017). ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/ge/regulating_secrete_surveillance_georgia_january_august_2017
23 თბილისის საქალაქო სასამართლოს ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისთვის მიწერილი 2019 წლის 15 მარტის წერილი N895-19.

ინფორმაციის მოხსნა კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია				
საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის (დიპლომატიური ფოსტის გარდა) კონტროლი				
ფარული ვიდეო და აუდიო ჩაწერა	660	627	132	118
ფარული კინო და ფოტოგადაღება				
ფარული ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით	1	1		

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მითითებულ პერიოდში ინსპექტორს ეცნობა 2940 შემთხვევაში (რიცხვი მოიცავს გადაწყვეტილებებს ვადის გაგრძელების თაობაზე), მათ შორის[24]:

ფარული საგამოძიებო მოქმედებები	**სულ ინსპექტორს ეცნობა**
სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა	1707
ფარული ვიდეო ან/და აუდიო ჩაწერა	1197
სხვა ფარული მოქმედებები	40

რაც შეეხება გადაუდებელი აუცილებლობისას პროკურორის დადგენილებების რაოდენობას ინსპექტორს ეცნობა 52 შემთხვევაში. ამავე პერიოდში ინსპექტორის აპარატში შევიდა 198 მოსამართლის განჩინება ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერად ცნობის შესახებ. ხოლო უკანონოდ ცნობის შესახებ მოსამართლის განჩინება ინსპექტორს ეცნობა 24 შემთხვევაში.

რაც შეეხება ინსპექტორის მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედებების შეჩერების შესახებ ინფორმაციას, მითითებულ პერიოდში კონტროლის ელექტრონული სისტემით ინსპექტორმა მოქმედებები შეაჩერა 136 ჯერ[25], ვინაიდან მისთვის წარდგენილი არ

[24] პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისადმი მიწერილი 2019 წლის 19 მარტის წერილი NPDP2 19 00001049.

[25]საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს უფლებას აძლევს შეაჩეროს ფარული საგამოძიებო მოქმედებები თუ: ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მიერ ინსპექტორისთვის მოსამართლის განჩინების ელექტრონული ეგზემპლარი სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერაზე არ არის მიწოდებული; ელექტრონული და მატერიალური (დოკუმენტური) სახით ინსპექტორისთვის წარდგენილი არ არის სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერის შესახებ მოსამართლის განჩინება/პროკურორის დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობისას; ელექტრონული ან/და მატერიალური სახით ინსპექტორისთვის წარდგენილი პროკურორის დადგენილების რეკვიზიტები ან/და სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანება-უზუსტობას შეიცავს; მისთვის ელექტრონული

ყოფილა მოსამართლის განჩინება/პროკურორის დადგენილება ელექტრონული ან/და მატერიალური სახით და ელექტრონული და მატერიალური სახით წარმოდგენილი დოკუმენტის მონაცემები ერთმანეთს არ ემთხვეოდა/შეიცავდა ბუნდოვანება-უზუსტობას.

კონტრდაზვერვითი საქმიანობის სპეციალური ღონისძიებების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების გარდა, კონსტიტუციით დაცულ უფლებაში ჩარევას წარმოადგენს აგრეთვე კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონტრდაზვერვითი საქმიანობის სპეციალური ღონისძიებები, რომლებიც იყოფა ოპერატიულ[26] და ოპერატიულ-ტექნიკურ[27] ღონისძიებებად.

კანონის მიხედვით, ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების სახეების მსგავსია, თუმცა, განსხვავებულია მათი ჩატარების/განხორციელების მიზანი. კერძოდ, კონტრდაზვერვითი საქმიანობის სპეციალური ღონისძიებების ძირითადი ამოცანაა სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა სადაზვერვო ან/და ტერორისტული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, ანალიტიკური დამუშავება და გამოყენება და კონკრეტული სადაზვერვო ან/და ტერორისტული ქმედებების და მათ განხორციელებასთან დაკავშირებული გარემოებების გამოვლენა და თავიდან აცილება.[28]:

ოპერატიულ-ტექნიკურ ღონისძიებებს წარმოადგენს:

ა) ფარული ვიდეო- და აუდიოჩაწერა;
ბ) ფარული კინო- და ფოტოგადაღება;
გ) სატელევიზიო კამერების და სხვა სახის ელექტრონული მოწყობილობების გამოყენება;
დ) ელექტრონული თვალთვალი;
ე) საფოსტო კორესპონდენციის კონტროლი;
ვ) სტრატეგიული მონიტორინგის ღონისძიება;
ზ) ინდივიდუალური მონიტორინგის ღონისძიება.[29]

სისტემის მეშვეობით წარდგენილი პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარის რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილში და მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი პროკურორის დადგენილების რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილში კოდექსით გათვალისწინებული მონაცემები ერთმანეთს არ ემთხვევა.

[26] ოპერატიული ღონისძიება არის ოპერატიული საქმიანობის ნაწილი; ისინი ხორციელდება უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეული პირების სადაზვერვო ან/და ტერორისტული ქმედებების შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით, ღია ან/და ფარული მეთოდების გამოყენებით. ოპერატიული ღონისძიებების სახეები განისაზღვრება სპეციალური სამსახურების სამართლებრივი აქტებით.

[27] ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიება არის ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის ნაწილი; ისინი ხორციელდება უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეული პირების სადაზვერვო ან/და ტერორისტული ქმედებების შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

[28] „კონტრადაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი.

[29] „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი.

კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. **ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებები ხორციელდება კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში და, როგორც წესი, არ საჭიროებს მოსამართლის ბრძანებას, გარდა ელექტრონული თვალთვალის, ინდივიდუალური და სტრატეგიული ღონისძიებებისა.**[30]

ელექტრონული თვალთვალისა და ინდივიდუალური და სტრატეგიული ღონისძიებების განხორციელების პროცესში ერთვებიან **სპეციალური სამსახურები**[31] და **ზედამხედველი მოსამართლის ინსტიტუტი,** რომელიც წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს და რომელიც გასცემს ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიების განხორციელების და ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების განხორციელების შესახებ ბრძანებას კანონით დადგენილი წესით.[32] გარდა ამისა, ზედამხედველი მოსამართლე გასცემს ბრძანებას აგრეთვე ინდივიდუალური და სტრატეგიული მონიტორინგის ღონისძიებების ჩატარების შესახებ.[33]

ელექტრონული თვალთვალი და ინდივიდუალური და სტრატეგიული მონიტორინგის ღონისძიებები ხორციელდება **ზედამხედველი მოსამართლის ბრძანების** ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში **სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით**, რომელმაც ელექტრონული თვალთვალის დაწყებიდან დაუყოვნებლივ მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა უნდა მიმართოს ზედამხედველ მოსამართლეს ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელების უფლების მოპოვებისთვის.[34]

ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და კონტრდაზვერვითი საქმიანობის სპეციალური ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო

ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების განხორციელებაზე, რომელიც მოიცავს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებსა და „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ კონტრდაზვერვითი საქმიანობის სპეციალურ ღონისძიებებს, პასუხისმგებელია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში არსებული **საჯარო სამართლის იურიდიული პირი ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო**, რომელსაც

---

30 „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი, მე-19[1] მუხლი.

31 საქართველოს ხელისუფლების სპეციალური ორგანოები, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ დაზვერვით ან/და კონტრდაზვერვით (ოპერატიულ, ოპერატიულ-ტექნიკურ და სხვა) ღონისძიებებს სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით; „კონტრდაზვერვითი საქმისნობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი.

32 „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „უ“ ქვეპუნქტი.

33 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი.

34 „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი.

ექსკლუზიური უფლებამოსილება გააჩნია სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერაზე, კავშირგაბმულობის არხიდან ინფორმაციის მოხსნასა და ფიქსაციაზე და საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის კონტროლზე.[35] სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო, ზემოაღნიშნულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან ერთად აგრეთვე ახორციელებს „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ელექტრონულ თვალთვალსა და სტრატეგიული[36] და ინდივიდუალური მონიტორინგის ღონისძიებებს.[37]

როგორც უკვე აღინიშნა, კვლევის ფარგლებში ინფორმაცია გამოვითხოვეთ სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოდან. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წელს[38] (საანგარიშო წელი მოიცავს დროის მონაკვეთს 2017 წლის 1-ლი დეკემბრიდან 2018 წლის 1-ლ დეკემბრამდე პერიოდს) სააგენტოში შევიდა **ზედამხედველი მოსამართლის 24 ბრძანება** ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების განხორციელების შესახებ. ხოლო სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელის გადაწყვეტილება გადაუდებელ წესით თვალთვალის განხორციელების შესახებ სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.[39]

---

[35] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 32-ე პუნქტი.

[36] სტრატეგიული მონიტორინგის ღონისძიება – სააგენტოს მიერ სადაზვერვო საქმიანობისა და კონტრდაზვერვითი საქმიანობის მიზნებისთვის საქართველოს ტერიტორიის ფარგლების გარეთ, აგრეთვე იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც არ ვრცელდება საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით გადაცემული სატელეკომუნიკაციო ნაკადის მონიტორინგი საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, თავდაცვისუნარიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, მართლწესრიგის, სამეცნიერო-ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით;

[37] ინდივიდუალური მონიტორინგის ღონისძიება – სააგენტოს მიერ სადაზვერვო საქმიანობისა და კონტრდაზვერვითი საქმიანობის მიზნებისთვის საქართველოს ტერიტორიის ფარგლების გარეთ კონკრეტული საკომუნიკაციო აღჭურვილობის ტექნიკური იდენტიფიკატორის მეშვეობით ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით გადაცემული სატელეკომუნიკაციო შეტყობინებების მონიტორინგი საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, თავდაცვისუნარიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, მართლწესრიგის, სამეცნიერო-ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით.

[38] IDFI-მ სხვა უწყებების მსგავსად საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოდანაც 2017 წლის 1 სექტემბრიდან 2019 წლის 4 მარტის მდგომარეობით გამოითხოვა ინფორმაცია, თუმცა სააგენტოს მითითებით 2017 წელს სააგენტოს სტატისტიკური მონაცემები კონკრეტული ღონისძიების სახეების მიხედვით არ უწარმოებია. ხოლო ერთიანი სტატისტიკა მოწოდებულ იქნა 2017 წლის 30 მარტიდან 2017 წლის 1 დეკემბრის მონაცემებით, რომლის მიხედვითაც, წარმოებაში ჰქონდა 814 მოსამართლის განჩინება და პროკურორის 55 დადგენილება ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების შესახებ.

[39] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს უფროსის ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისთვის მიწერილი 2019 წლის 14 მარტის წერილი NSSG9 19 00048370.



მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2017-2018 წლებში სსიპ ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს წარმოებაში ჰქონდა **2494 განჩინება ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყების ან გაგრძელების შესახებ** და **182 დადგენილება გადაუდებელი წესით ფარული საგამოძიებო მოქმედებების** ჩატარების შესახებ. მათ შორის:

ფარული საგამოძიებო მოქმედებები	მოსამართლის განჩინება	პროკურორის დადგენილება (გადაუდებელი აუცილებლობა)
სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა	1159	33
ფარული ვიდეო ან/და აუდიო ჩაწერა	493	92
კავშირგაბმულობის არხიდან/კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია	28	2

სსიპ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ საანგარიშო წლების განმავლობაში სააგენტოს დატვირთულობას ძირითადად ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება განაპირობებს, რაც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის გამოძიების/სისხლის სამართლებრივი დევნის პროცესში განხორციელებულ ქმედებებს გულისხმობს. ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებები, კერძოდ ელექტრონული თვალთვალი, რაც კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონით არის გათვალისწინებული და კავშირშია სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა სადაზვერვო ან/და ტერორისტული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოპოვებასთან, ანალიტიკურ

დამუშავებასთან და გამოყენებასთან და კონკრეტული სადაზვერვო ან/და ტერორისტული ქმედებების და მათ განხორციელებასთან დაკავშირებული გარემოებების გამოვლენასა და თავიდან აცილებასთან[40] ერთი საანგარიშო წლის განმავლობაში განხორციელდა მხოლოდ 24-ჯერ.[41]

მედიაში გაჟღერებული ფაქტები უკანონო ფარულ გადაღებებთან დაკავშირებით

როგორც უკვე აღინიშნა, ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებები და მათი განხორციელების წესი მკაცრად რეგლამენტირებულია და კანონის დარღვევით პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა[42], პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა[43], კერძო კომუნიკაციის საიდუმლოს დარღვევა[44], პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა[45] დასჯადია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით.

მიუხედავად ზემოხსენებული ქმედებების დანაშაულებრივი ხასიათისა, საქართველოში პირადი ცხოვრების სხვადასხვა სახით ხელყოფამ პერმანენტული სახე მიიღო. ბოლო პერიოდში უკანონო ვიდეო და აუდიო გადაღებები და ინტერნეტში მათი გავრცელების სიხშირე პოლიტიკოსებისა და საზოგადოებისთვის ცნობილი სახეების მხრიდან ტერორიზმთან მიახლოებულ ფაქტებად შეფასდა.[46]

<u>გავრცელებული ფაქტების ქრონოლოგია[47]</u>

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებისას, კერძოდ, 2018 წლის 14 ოქტომბერს ტელეკომპანია რუსთავი ორის ეთერში გავრცელდა ხორავას ქუჩაზე მოზარდებს შორის მომხდარი სისხლიანი გარჩევის საქმეზე დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დაკავებული მირზა სუბელიანის, მესტიის მაჟორიტარი დეპუტატის, ვიქტორ ჯაფარიძისა და დევნილთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნის, დავით ცუხიშვილის ფარული აუდიოჩანაწერი.[48] პროკურატურამ გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის საქმეზე პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვებისა და შენახვის, იძულების, პატიმრობაში მყოფი პირის კერძო საუბრის უნებართვო ჩაწერის, ჩანაწერის უკანონოდ შენახვისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის და სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტებზე,[49] თუმცა, გამოძიების შედეგები დღემდე საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის.

---

40 „კონტრადაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი.
41 საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს უფროსის ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისთვის მიწერილი 2019 წლის 14 მარტის წერილი NSSG9 19 00048370
42 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლი.
43 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157^1 მუხლი.
44 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლი.
45 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 159-ე მუხლი.
46 https://www.interpressnews.ge/ka/article/539396-gia-xuxashvili-parul-chanacerebze-realuri-ziebis-process-ver-vxedavt/
47 კვლევაში მითითებული ფაქტები წარმოადგენს ონლაინ მედია საშუალებებიდან აღებულ ცნობებს და არ წარმოადგენს ოფიციალური უწყებებიდან გამოთხოვილ ინფორმაციას და/ან IDFI-ს მოსაზრებებს.
48 On.ge, netgazet.ge.
49 https://bit.ly/2IkcBg0

ამავე პერიოდში (2018 წლის ოქტომბერი-სექტემბერი) გავრცელდა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ყოფილ მინისტრ ლევან ყიფიანსა და „ომეგა ჯგუფის“ დამფუძნებელ და აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრს პარტია “საქართველოს პატრიოტთა ალიანსიდან“ ზაზა ოქუაშვილს შორის საუბრის ფარული ჩანაწერები. 2018 წლის 12 სექტემბერს თბილისის პროკურატურაში გამოძიება დაიწყო 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც სხვისი კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხის მოტყუებით დაუფლებას გულისხმობს.[50] გამოძიების შედეგები საზოგადოებისთვის ამ შემთხვევაშიც არ არის დღემდე ცნობილი.

2019 წლის 28 იანვარს ინტერნეტში გავრცელდა პოლიტიკოსი ქალის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები. პირველივე კადრების გავრცელებას მწვავე რეაქცია დაფიქსირდა მმართველი გუნდის სხვადასხვა პოლიტიკოსების მხრიდან[51], თუმცა აღნიშნულმა განცხადებებმა ვერ შეაჩერა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების ინტერნეტში გავრცელების შემდგომი ქრონოლოგია. იმავე პოლიტიკოსზე კადრები გავრცელდა 31 იანვარს, 27 მარტს და 3 აპრილს.

2019 წლის 28 იანვარს პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერის შენახვისა და გავრცელების ბრალდებით 16 პირი დააკავეს. მათი დაკავება სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე[1] მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით მოხდა. მათგან 2 პირს შეეფარდა პატიმრობა, დანარჩენი პირები კი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდნენ. კადრების გავრცელების საქმეზე დაკავებულ იქნენ ის ადამიანები, ვინც სოციალური ქსელის მეშვეობით აღნიშნულ კადრებს გაეცნენ.[52] მოგვიანებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, პირადი ცხოვრების კადრების გავრცელებისთანავე გამოძიებამ დაადგინა ვიდეოს ინტერნეტში ამტვირთავის ვინაობა და ადგილსამყოფელი. ინფორმაცია გავრცელდა აგრეთვე ტელეკომპანია რუსთავი ორის ეთერით. მათი ცნობით, ჩანაწერები სომხეთის ციხიდან აიტვირთა. შსს-ს მიერ მოგვიანებით გაკეთებულმა განცხადებამ, ეს ინფორმაცია დაადასტურა.[53] ოდნავ მოგვიანებით, უწყებამ გაავრცელა განცხადება, რომ დააკავეს სპეცრაზმის ყოფილი თანამშრომელი, რომელმაც მობილური ინტერნეტაპლიკაციის მეშვეობით გაავრცელა პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერი. სულ, 28 და 31 იანვარს ინტერნეტით გავრცელებულ პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების საქმეზე დაკავებული 17 პირიდან სამს -პატიმრობა, 14-ს კი გირაო შეეფარდა.[54]

აღნიშნულის შემდეგ 2019 წლის 27 მარტს კვლავ გავრცელდა იმავე პოლიტიკოსი ქალის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები.[55] აღნიშნულ ფაქტზე პირადი ცხოვრების კადრების Youtube-ზე ატვირთვის ბრალდებით დააკავეს ერთი პირი (მ.მ), რომელსაც თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით 5 000-ლარიანი გირაო შეუფარდა.[56]

---

50 http://netgazeti.ge/news/307890/
51 https://bit.ly/2V1z4o8, http://netgazeti.ge/news/337518/
52 https://bit.ly/2KQ1rSy, http://netgazeti.ge/news/337992/
53 http://netgazeti.ge/news/339673/
54 https://bit.ly/2XdxmNZ
55 http://netgazeti.ge/news/351751/
56 https://bit.ly/2v9xKkG

2019 წლის 3 აპრილს კვლავ გავრცელდა იმავე პოლიტიკოსის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები,[57] ფაქტის გამოძიების მიმდინარეობაზე საზოგადოებას ინფორმაცია არ მიწოდებია.

2019 წლის მარტში გავრცელდა საჯარო პირის (ქალის) პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები. მან დაასახელა ვიდეოს გამავრცელებლის ვინაობა. შსს-ს ცნობით, გამოძიება კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევისა და პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის ფაქტზე მიმდინარეობს. ერთი პირისთვის ბრალიც აქვთ წაყენებული, თუმცა მისი დაკავების შესახებ ინფორმაცია არ დასტურდება.[58]

კამპანია „ეს შენ გეხება“ 2017-2018

საზოგადოებრივი ჯგუფების ინიციატივა, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების კამპანიის „ეს შენ გეხება“-ს სახელით არის ცნობილი, 2012 წელს დაიწყო. მის თავდაპირველ მიზანს საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლა წარმოადგენდა. შემდგომში, 2014 წელს კამპანია „ეს შენ გეხება“ ფარული მოსმენისა და მიყურადების წინააღმდეგ კანონმდებლობისა და პრაქტიკის შეცვლას ისახავდა მიზნად. არასამთავრობო ორგანიზაციების კამპანია 2017 წელს აქტიურად იყო ჩართული საქართველოს პარლამენტში შექმნილ სამუშაო ჯგუფში, რომელიც ხელისუფლების მიერ ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებული რეგულირების შესახებ ცვლილების პაკეტის სამუშაო ვარიანტს განიხილავდა.

არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან კანონპროექტთან დაკავშირებული შენიშვნების მიუხედავად, ფარული მიყურადების მარეგულირებელი კანონპროექტი უცვლელი დარჩა და კანონის ძალა მიიღო. აღნიშნულის შემდეგ კამპანია „ეს შენ გეხებას“ ფარგლებში მომზადდა კონსტიტუციური სარჩელები. საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართა სახალხო დამცველმა[59] და სხვადასხვა პოლიტიკურმა პარტიებმაც.[60] ისაბოლოო ჯამში, კონსტიტუციური სარჩელები ერთ საქმედ გაერთიანდა - „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - ავთანდილ ბარამიძე, გივი მითაიშვილი, ნუგზარ სოლომონიძე და სხვები პარლამენტის წინააღმდეგ“ (სულ 326 კონსტიტუციური სარჩელი).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის საოქმო ჩანაწერით, საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის მოსამართლეების მერაბ ტურავასა და ლალი ფაფიაშვილის შუამდგომლობის საფუძველზე, საქმე განსახილველად საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს გადაეცა. [61] კონსტიტუციური სარჩელების

---

57 https://www.interpressnews.ge/ka/article/540229-eka-beselia-erti-tve-gava-tu-ara-qvelapers-saxels-davarkmev, https://bit.ly/2VeXKX1

58 http://netgazeti.ge/news/356918/

59 სახალხო დამცველმა ე.წ. მოსმენების კანონი საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა, interpressnews.ge, 31.05.2017, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/2uptzBF (ბოლოს ნანახია 2019 წლის 8 აპრილს).

60 ფარული მიყურადების რეგულირება საქართველოში (იანვარი-აგვისტო, 2017), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 26.

61 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 17 მაისის საოქმო ჩანაწერი, ხელმისაწვდომია - http://www.constcourt.ge/ge/legal-acts/recording-notices/3-2-1-saqartvelos-moqalaqeebi-avtandil-baramidze-givi-mitaishvili-nugzar-solomonidze-da-sxvebi-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page (ბოლოს ნანახია 2019 წლის 8 აპრილს).

არსებითად განსახილველად მიღების საკითხის განხილვა საკონსტიტუციო სასამართლოში 2017 წლის 7 სექტემბერს დასრულდა. სასამართლო პროცესებზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსახილველ საკითხს წარმოადგენდა, რამდენად იყო კონსტიტუციური სარჩელებით სადავოდ გამხდარი რეგულირებები იმავე შინაარსის, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით[62] არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმები, რომლითაც სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს-ის) ტექნიკური წვდომა სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ქსელებთან, რაც იძლეოდა კომუნიკაციის შეუზღუდავი მონიტორინგისა და მონაცემთა შეგროვების შესაძლებლობას.[63]

საკონსტიტუციო სასამართლოში ე.წ. „მოსმენების საქმის“ დასაშვებობის საკითხის განხილვა

<u>მოსარჩელეთა პოზიცია</u>

კონსტიტუციური სარჩელების დასაშვებობის საკითხის განხილვისას მოსარჩელეები აღნიშნავდნენ, რომ საკანონმდებლო ცვლილების შედეგად მიღებული ნორმები საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგებოდა. სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ დაუშვებელი იყო ფარული მიყურადების შესაძლებლობა საქართველოს უსაფრთხოების სამსახურს (სუს-ს) ჰქონოდა, ვინაიდან მას, თავისი საგამოძიებო ფუნქციიდან გამომდინარე, რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის მოპოვების პროფესიული დაინტერესება გააჩნდა. [64]

მოსარჩელეების აზრით, პრობლემური იყო საკანონმდებლო ცვლილების შედეგად ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს სახით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ინსტიტუციურად და ფაქტობრივად სუს-ის განუყოფელი ნაწილს წარმოადგენდა. მოსარჩელეები აღნიშნავდნენ, რომ 2016 წლამდე არსებული ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტი და საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად შექმნილი ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდა, ვინაიდან, ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის მსგავსად, ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოც არ იყო ნეიტრალური და, შესაბამისად, იგი ვერ პასუხობდა საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით დადგენილ სტანდარტს. [65]

---

[62] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება #1/1625,640 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ხელმისაწვდომია - http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-saxalxo-damcveli-saqartvelos-moqalaqeebi-giorgi-burdjanadze-lika-sadjaia-giorgi-gociridze-tatia-qinqladze-giorgi-chitidze-lasha-tugushi-zviad-qoridze-aaip-fondi-gia-sazogadoeba-saqartvelo-aaip-saertashoriso-gamchvirvaloba-saqartvelo-aaip-saqar.page (ბოლოს ნანახია 2019 წლის 8 აპრილს).

[63] საკონსტიტუციო სასამართლოში ე.წ. „მოსმენების საქმის“ განხილვის მონიტორინგის შედეგები, ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, ხელმისაწვდომია- https://idfi.ge/ge/monitoring_results_of_constitutional_court_hearing_on_secrete_surveillance (ბოლოს ნანახია 2019 წლის 8 აპრილს).

[65] იქვე.

მოსარჩელეები განმარტავდნენ, რომ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო არ არის თავისუფალი და საგამოძიებო უფლებამოსილებისაგან დაცული. „მას აქვს ბმა საგამოძიებო ორგანოსთან და შესაბამისად, აქვს ინტერესი კანონის გვერდის ავლით განახორციელოს ფარული მიყურადება.“[66]

რაც შეეხება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის როლს, მოსარჩელეების მითითებით, საკანონმდებლო ცვლილებებმა ვითარება გააუარესა, ვინაიდან, „თუ საკანონმდებლო ცვლილებამდე არსებული მოდელის ფარგლებში პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორს ჰქონდა ორეტაპიანი ელექტრონული სისტემა (ე.წ. ორგასაღებიანი სისტემა), რომელიც მის მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელებაზე ელექტრონული თანხმობის გაცემის უფლებას გულისხმობდა, დღევანდელი საკანონმდებლო მოწესრიგების ფარგლებში ეს ორეტაპიანი სისტემაც არ არსებობს.“[67]

<u>მოპასუხე მხარის - საქართველოს პარლამენტის პოზიცია</u>

საქართველოს პარლამენტის პოზიციით, კონსტიტუციური სარჩელით სადავოდ გამხდარი ნორმები არ ეწინააღმდეგება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებას. საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები პროცესზე უთითებდნენ, რომ „სადავო ნორმების მთავარ მიზანს უსაფრთხოების სისტემის ეფექტურად მუშაობა, ანუ სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან ეროვნული უსაფრთხოების დაცვა წარმოადგენს.“[68] ისინი ასევე აღნიშნავდნენ, რომ „შიდა და გარე ფაქტორის გავლენის ფაქტორით სახელმწიფო აღმასრულებელ ორგანოს სახელმწიფოსა და საზოგადოების ფუნდამენტური ინტერესების დასაცავად დაუყოვნებლივ და მიზანმიმართულად მოქმედების ვალდებულება აქვს.“[69]

საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები განმარტავდნენ, რომ, სსიპ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო სუს-სზე დამოკიდებული არ არის. რომ სუს-ის ხელმძღვანელის როლი აღნიშნული სააგენტოს ხელმძღვანელის დანიშვნის პროცესში მხოლოდ კანდიდატურის წარდგენით შემოიფარგლება, რაც სუს-ის, როგორც სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ორგანოს მიზნებითაა განპირობებული.[70]

რაც შეეხება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორთან დაკავშირებულ საკითხს, მოპასუხე მხარის მითითებით, საკანონმდებლო ცვლილებებამდე არსებული ე.წ. ორეტაპიანი სისტემის შეცვლის მიუხედავად, სტანდარტი არ დაწეულა და, პირიქით, გაიზარდა, რადგან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს შეუძლია შევიდეს უშუალოდ იქ, სადაც სააგენტოს უსაფრთხოების სტრუქტურაა განლაგებული, ანუ უშუალოდ სააგენტოს შენობაში, ასევე იქ, სადაც ელექტრონული კომუნიკაციებია მოწყობილი“. [71]

<u>პროცესში ჩართულ სხვა პირთა პოზიციები</u>

სასამართლო პროცესზე პოზიცია დააფიქსირა **სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ.** სააგენტოს წარმომადგენელმა აღინიშნა, რომ „ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო კანონმდებლობის თანახმად, დამოუკიდებელია თავისი საქმიანობის

---

66 იქვე.
67 იქვე.
68 იქვე.
69 იქვე.
70 იქვე.
71 იქვე.

ფარგლებში“. სასამართლო პროცესების მსვლელობისას **სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის** იურიდიული სამმართველოს თანამშრომელმა ბექა ზეგარდელმა აღნიშნა, რომ საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ვითარება გაუმჯობესდა. კერძოდ, „თუ მანამდე ფარული მოსმენების განმახორციელებელი ორგანო უშუალოდ უსაფრთხოების სამსახურის სტრუქტურული დანაყოფი იყო, დღევანდელი საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებში ეს დანაყოფი გამოეყო სუს-ს და დამოუკიდებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს სახით ჩამოყალიბდა“.[72] მან დამატებით ასევე მიუთითა, რომ „სააგენტოს ხელმძღვანელის დანიშვნის პროცესში გადამწყვეტი როლი სწორედ სპეციალურ კომისიას აკისრია, რომელიც დამოუკიდებელია და მასში ყველა შტოს ჩართულობაა გამოხატული.“[73]

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა თამარ ქალდანმა შეკითხვაზე, გაუმჯობესებულია თუ არა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორთან მიმართებით არსებული საკანონმდებლო მოწესრიგება 2017 წლის მარტში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ, პირდაპირ არ უპასუხა, თუმცა აღნიშნა, რომ სისტემა შეიცვალა. მან დამატებით ასევე მიუთითა, რომ, მართალია, აღარ არის ორეტაპიანი სისტემა, თუმცა, ელექტრონული კონტროლის სისტემა დარჩა. [74] მან ასევე აღნიშნა, რომ უშუალოდ სატელეფონო მიყურადებისას გამოიყენება სპეციალური სისტემა. „საწყის ეტაპზე სავალდებულოა ინსპექტორს პერსონალურად მიეწოდოს ფარული საგამოძიებო ღონისძიების ჩატარებაზე ნებართვის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი პროკურორის დადგენილებასთან ერთად.“[75]

<u>საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 29 დეკემბრის საოქმო ჩანაწერი</u>

2017 წლის 29 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელები არსებითად განსახილველად მიიღო.[76] სასამართლომ შეაფასა ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს ბუნება და აღნიშნა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილების მიღებისას არსებულ ოპერატიულ-ტექნიკურ დეპარტამენტთან შედარებით ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო უფრო მაღალი ავტონომიურობით ხასიათდება. [77]

საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით ასევე აღნიშნა, რომ „სსიპ „ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო“, მართალია, წარმოადგენს სახელმწიფო უსაფრთხოების მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, თუმცა, სამსახურის დეპარტამენტებისგან განსხვავებით, მისი უფროსის თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად არ იღებს

---

72 იქვე.
73 იქვე.
74 იქვე.
75 იქვე.
76 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 29 დეკემბრის საოქმო ჩანაწერი, ხელმისაწვდომია - http://www.constcourt.ge/ge/legal-acts/recording-notices/3-4-885-1231-saqartvelos-saxalxo-damcveli-saqartvelos-moqalaqeebi-avtandil-baramidze-givi-mitaishvili-nugzar-solomonidze-da-sxvebi-sul-326-konstituciuri-sarcheli-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page (ბოლოს ნანახია 2019 წლის 8 აპრილს).
77 იქვე, პარ. 33.

სამსახურის უფროსი. ამასთანავე, არის საკითხები, რომლებზედაც უშუალოდ სააგენტო, მისი უფროსი დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს.“[78]

ამ და სხვა მსჯელობების გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ ვერ დაინახა წინააღმდეგობა კონსტიტუციური სარჩელებით გასაჩივრებულ ნორმებსა და საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებას შორის. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა, სადავო ნორმები არსებითად განხილვის გარეშე ძალადაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირებით და საკონსტიტუციო სარჩელები არსებითად განსახილველად მიიღო.

მნიშვნელოვანია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველ საოქმო ჩანაწერს თან ერთვის საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების - ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩხილაძისა და მაია კოპალეიშვილის განსხვავებული აზრი, სადაც მითითებულია, რომ კონსტიტუციური სარჩელებით სადავოდ გამხდარი ნორმები წარმოადგენს არსებითად მსგავსი შინაარსის რეგულაციებს, რაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით.[79] განსხვავებულ აზრში მითითებულია, რომ „განსახილველ შემთხვევაში არსებობდა როგორც სამართლებრივი, ისე ფაქტობრივი გარემოებები, რათა გასაჩივრებული სადავო ნორმები მიჩნეულიყო „დამძლევ ნორმად“ და არსებითად განხილვის გარეშე, განჩინებით ყოფილიყო არაკონსტიტუციურად ცნობილი.“[80]

ჯერჯერობით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია. კონსტიტუციურ სარჩელებთან დაკავშირებით არსებითი განხილვის სხდომები გრძელდება. ბოლო არსებითი განხილვის სხდომა საკონსტიტუციო სასამართლოში 2019 წლის 23 იანვარს ჩატარდა.[81]

22 იანვარს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელების არსებითი განხილვის სხდომაზე საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს „მოსმენების საქმეზე“ ჩვენება ტელე-საკომუნიკაციო სისტემების ექსპერტმა, დეივ ორელმა მისცა. [82]

პროცესზე დეივ ორელმა აღნიშნა, რომ პრობლემას წარმოადგენს სსიპ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მიერ ორი სხვადასხვა ფუნქციის ქონა. მან აღნიშნა, რომ „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ზოგადი, ფართო მიზნებისთვის აგროვებს ინფორმაციას, გამოძიება - კონკრეტულ პირთან, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. გამოძიებას კონკრეტული ინფორმაციის მიღება სურს. ერთ სააგენტოში ამ ინფორმაციის

---

[78] იქვე, პარ. 34.

[79] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების - ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩხილაძის და მაია კოპალეიშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 29 დეკემბრის საოქმო ჩანაწერზე.

[80] იქვე, პარ. 73.

[81] http://www.constcourt.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcveli-saqartvelos-moqalaqeebi-avtandil-baramidze-givi-mitaishvili-nugzar-solomonidze-da-sxvebi-sul-326-konstituciuri-sarcheli-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg5.page (ბოლოს ნანახია 2019 წლის 10 აპრილს).

[82] რა იქნება ფარული მოსმენების კარგი მოდელი - ევროპელი ექსპერტი საკონსტიტუციოში, ხელმისაწვდომია - http://netgazeti.ge/news/335101/?fbclid=IwAR1CQcYzw0w0CgUSabmy8fwnAJAm9WcxamUXSP8-XEOxcfv1Ot_nG8cEwfg (ბოლოს ნანახია 2019 წლის 11 აპრილს).

არსებობით კი, გამოძიებას ეძლევა შესაძლებლობა არასანქცირებული არალეგალური გზებით მოიპოვოს ინფორმაცია.“[83]

ექსპერტმა დამატებით ასევე აღნიშნა, რომ „ევროპის ქვეყნებში არსებობს პრაქტიკა, როცა მობილური სატელეკომუნიკაციო ოპერატორები ინახავენ ინფორმაციას, მაგრამ ეს მოითხოვს დამატებით ხარჯებს. ამ ქვეყნებში უსაფრთხოების სამსახური მიმართავს ოპერატორს შესაბამისი სამართლებრივი დასაბუთებით და იღებს ინფორმაციას.“[84]

8. დასკვნა

არსებული საკანონმდებლო რეგულირების, პროაქტიულად გამოქვეყნებული და სხვადასხვა უწყებებიდან გამოთხოვილი მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისადა ჩაწერის ფაქტების, ისევე როგორც სხვა ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების რიცხვი ყოველწლიურად საგრძნობლად იმატებს. აღნიშნული ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საკანონმდებლო ცვლილების შედეგად დაწესებულმა რეგულაციებმა არათუ აღმოფხვრეს, არამედ, უფრო მეტად გაამწვავეს ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული ის პრობლემები, რომელსაც უკვე მრავალი წელია არასამთავრობო ორგანიზაციები კამპანია „ეს შენ გეხება“-ს ფარგლებში აპროტესტებენ. IDFI მიჩნევს, რომ საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად შექმნილი ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო, რომელიც ფარულ საგამოძიებო მოქმედებებისა და კონტრდაზვერვითი საქმიანობის სპეციალური ღონისძიებების განხორციელებაზეა პასუხისმგებელი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გავლენისაგან თავისუფალი არ არის და საგამოძიებო ორგანოსთან ბმის გათვალისწინებით, მას ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ინტერესი აქვს. ამასთან, საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადამიანის უფლებას წარმოადგენს და მისი რეგლამენტირებული ხელყოფა უნდა მოხდეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში. ამიტომ, მნიშვნელოვანია კანონმა ისე დაარეგულიროს ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების პროცედურები, რომ თავიდან იქნეს აცილებული არამართლზომიერი და არაპროპორციული ჩარევა კონსტიტუციით დაცულ უფლებაში.

კანონმდებლობის დახვეწის აუცილებლობის კუთხით უნდა აღინიშნოს აგრეთვე, საზოგადოების მხრიდან სამართალდამცავი ორგანოების მიმართ უნდობლობისა და დამნაშავეთა დაუსჯელობის სინდრომის გაჩენა, რომელიც გამოწვეულია მედიაში გაჟღერებული, უკანონოდ მოპოვებული და გავრცელებული პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების რაოდენობით და უკანონოდ განხორციელებული ფარული ჩანაწერების გამომქვეყნებლების ნაცვლად, მხოლოდ ამ ჩანაწერების გამავრცელებლების (მაგ.: პირად შეტყობინებებში ინტერნეტ ბმულის გაგზავნა) დაკავების ფაქტებით.

---

83 იქვე.
84 იქვე.